№1385 2015 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შესახებ

1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^1 მუხლის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე:

ა) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 102.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: მცხეთა, სოფელი ძეგვი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 72.11.10.230, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ბ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 510.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კარდენახი, მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდი – 51.15.76.300, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

გ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 32.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯორჯიაშვილი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 84.03.40.129, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

დ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 309.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 74.06.11.757, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 420.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მდებარე მისამართზე: თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარიძეები, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 73.01.21.091, მიზნობრივი დანიშნულება შეეცვალოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზ-რუნველყოს მის კომპეტენციაში შემავალი შესაბამისი სარეგისტრაციო ქმედებების კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**